სსიპ კოლეჯი

„მ ე რ მ ი ს ი“

2021 წლის ანგარიში

თბილისი

2022 წ.

შესავალი

სსიპ-კოლეჯი ,,მერმისი“ წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემაში ერთ-ერთ საუკეთესო პროვაიდერს და არის ხარისხიანი განათლების მიწოდების გარანტი.

კოლეჯს ,,მერმისი“ არ შეუწყვეტია ბოლო წლების განმავლობაში სწრაფვა განვითარებისაკენ. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 2021 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული გახდა კოლეჯის ,,მერმისი“ პროფესიული განათლების მასწავლებელი ივანე ჩუტკერაშვილი.

ეს არის ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელება, კერძოდ, 2018 წელს კოლეჯი დასახელდა წლის საუკეთესო კოლეჯად, 2019 წელს - კატეგორია ,,წლის პროფესიული განათლების სტუდენტი“.

კულინარიულ კონკურსში, რომელიც წელს პირველად ჩატარდა საქართველოში და მონაწილებას იღებდა 7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, კონკურსში გამარჯვება და ჟიურის სიმპატია მოიპოვა კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნების“ სტუდენტმა.

კოლეჯის განვითარება

- **თანამედროვე შრომის ბაზრის შესაბამისად ახალი პროგრამის დამატება**

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე და გლობალური პანდემიის პირობების მიუხედავად, სწავლის მსურველ პირებს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნად ყოველწლიურად განახლებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის NMES 5 21 0000589555 გადაწყვეტილებით ,,მერმისს“ მიენიჭა უფლება დამატებით განახორციელოს ,,სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორი მოდგომით, მოდულური და ინტეგრირებული, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

ინტეგრირებული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს, რაც შემდგომში შესაძლებლობას მისცემს პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს.

„სარესტორნო მომსახურების“ პროგრამის ავტორიზაციისათვის მზადების პერიოდში განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ პროგრამის შესაბამისად განახლდა/შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ✓ დამატებით გაფორმებული იქნა კომპანიებთან ორი ახალი მემორანდუმი/ ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (**შპს „მაქრო ტურიზმი“** და **შპს „ციტრუსი“**) ;
- ✓ გაფორმდა წინარე შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოქმედ, ასევე კერძო სექტორიდან მოწვეულ **38 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.**

საანგარიშო პერიოდში, 27 დეკემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილია განაცხადი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ.

კოლეჯი ,,მერმისი“ ასევე აქტიურად ზრუნავს ზრდასრული მოსახლეობის პრაქტიკული უნარების გამომუშავება/განახლებასა და კომპეტენციების განვითარებაზე მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შეთავაზების გზით დასაქმების ხელშეწყობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯი ზრდასრული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, სთავაზობს შრომის ბაზარზე მოთხოვნად მოკლევადიან პროგრამებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სსიპ-კოლეჯს ,,მერმისი“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 02 ივნისის NMES 9 21 0000512445 ბრძანებით დადასტურებული იქნა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,თმის შეჭრა და ღებვა", 2021 წლის 02 ივნისის NMES 7 21 0000512443 ბრძანებით - ,,ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა“, ასევე ,,ოფისის ადმინისტრირების" პროფესიული მომზადების პროგრამა დადასტურდა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის N865574, 06.09.2021წ. ბრძანებით.

ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯის განვითარების კუთხით განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით დამტკიცდა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმდა საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, წერილი MIA 02100491972, 01.03.2021წ.
- ✓ ცვლილება შევიდა კოლეჯის 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმაში;
- ✓ კოლეჯის ნორმატიულ დოკუმენტებში შეტანილ იქნა ცვლილებები (შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის მხარდაჭერის წესი და სხვ.);
- ✓ შემუშავებულ იქნა სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა გამოკითხვები და მეცადინეობეზე დასწრება, საჭიროების შემთხვევაში გაიცა რეკომენდაციები;
- ✓ განახლებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ✓ COVID-19 პანდემიის ეპიდემიის გამო წელს პირველად განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში სწავლის შედეგის (მოდული: ქართული ენა A2) დადასტურება თიმსის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით;
- ✓ სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით სწავლა მიმდინარეობდა ჰიბრიდული რეჟიმით - ნაწილობრივ დისტანციურად, ნაწილობრივ პირისპირ ადგილზე კოლეჯში.

➢ კონტიგენტის მოძრაობა



COVID-19 პანდემიის ეპიდემიოლოგიური სიტაციიდან გამომდინარე, კოლეჯმა გაითვალისწინა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

2021 წლის 01 იანვრიდან სწავლა მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო 01 მარტიდან სწავლა განახლდა როგორც პირისპირ, ასევე ჰიბრიდული რეჟიმით.

ასევე 2021 წლის 13 სექტემბრიდან 2021 წლის 4 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დისტანციური ფორმით, ხოლო იმ ჯგუფებში, სადაც სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვა იყო შეუძლებელი, სწავლა შეჩერებული იყო 04 ოქტომბრამდე.

კოლეჯში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემუშავებული უსაფრთხოების რეკომენდაციების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით, 2021 წლის 10 მარტს სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქალბატონი თამარ ქიტიაშვილი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი თამარ სამხარაძე.

კალენდარული წლის განმავლობაში სსიპ კოლეჯში „მერმისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობდა **1011 პროფესიული სტუდენტი.** მათ შორის **58 სსსმ სტუდენტი** და 8 არაქართულ ენოვანი სტუდენტი. საანგარიშო პერიოდში სწავლა დაასრულა **310 სტუდენტმა,** 8 სტუდენტს მიენიჭა გარდამავალი (მომლოდინე)

სტუდენტის სტატუსი, სტატუსი შეიჩერა 23 **სტუდენტმა,** ხოლო სტატუსი შეიწყვიტა **177 სტუდენტმა**. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კოლეჯში ირიცხება 501 სტუდენტი.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სწავლა დაასრულა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური) მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნების" პროფესიულმა სტუდენტებმა. საკვალიფიკაციო გამოცდას ესწრებოდნენ კოლეჯის დირექტორი ნონა ღუდუშაური, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანი დალაქიშვილი, საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავჯდომარე ნატალია კვაჭანტირაძე და ასოციაციის საგანმანათლებლო კომიტეტის ხელმძღვანელი ნინა კეკელიძე. სტუდენტთა ნამუშევრები შეაფასა მაღალკვალიფიციურმა კომისიამ: საქართველოს გასტნომიის ასიციაციის პრეზიდენტმა, გასტრონომიული კულტურის მკვლევარმა – დალილა ცატავამ, კაზინო აჭარას სუ შეფმა (შპს ,,სანშაინ") – სერგო მამარდაშვილმა და სასტუმრო ,,ვინდჰამის" შეფმა – ლაშა გიორგობიანმა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ კოლეჯის პარტნიორი კომპანიები: შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“ (რესტორანი „ფუნიკულიორი“, რესტორანი „პურიგულიანი“), შპს „ბი ეფ გლდანი“, შპს „ღები“, სადაც სწავლის დასრულებამდე დასაქმდნენ სტუდენტები.

კოლეჯში ყოველწლიურად იზრდება სწავლის მსურველ პირთა რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2021 წლის მიღებაზე 388 ვაკანტურ ადგილზე 18 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის 2 პროგრამაზე, რომელშიც ინტეგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დარეგისტრირდა 1396 აპლიკანტი, მათ შორის 45 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესის შესაბამისად, რომლის თანახმად, პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველი პირების ჩარიცხვა საბაზისო და საშუალო პროგრამებზე განხორციელდა დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სადაც შესარჩევ კომისიაში მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, აპლიკანტთა შეფასება განხორციელდა სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.

2021 წლის მიღებაზე 18 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა 330 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 26 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი, ასევე 11 სტუდენტი, რომელთა შერჩევა განხორციელდა

რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე და მათ სწავლა დაიწყეს ქართული ენის მოდულით.

7 სტუდენტს, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსი, 2021 წლის მიღებაზე გაიაქტიურეს სტატუსი, ასევე სტატუსშეჩერებულმა 1 სტუდენტმა აღიდგინა სტატუსი.

- ***<u>პროფესიული განათლების რეფორმების კვალდაკვალ პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატება</u>***

კოლეჯი ,,მერმისი" აქტიურად ზრუნავს ზრდასრული მოსახლეობის პრაქტიკული უნარების გამომუშავება/განახლებაზე და კომპეტენციის განვითარებაზე თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შეთავაზებით, რომელიც ორიენტირებულია დასაქმებაზე.

კალენდარული წლის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად აგრძელებდა ახალი მოთხოვნადი პროგრამების შეთავაზებას სწავლის მსურველი პირებისათვის.

2021 წლის რეგისტრაციის სტატისტიკა პროფესიული მომზადების პროგრამების მიხედვით

N	პროგრამის დასახელება	მიღების ტიპი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხული მსმენელები
1.	ელექტრული მონტაჟი	ღია	15	47	15
2.	ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	ღია	30	145	30
		დახურული	15	12	10
3.	თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	ღია	12	41	12
4.	ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა	ღია	15	22	7
5.	ოფისის ადმინისტრირება	დახურული	15	8	
	სულ ჯამი:		102	275	74

საანგარიშო პერიოდში **9 პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე** სწავლა დაასრულა **12 ჯგუფის 164 მსმენელმა, სერტიფიკატი მიიღო 143 მსმენელმა.** საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ირიცხება 17 მსმენელი, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს დაფინანსებით პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება“ სწავლობს 10 მსმენელი.

- **განხორციელებული პროექტები**

ადგილობრივი მოსახლეობის მომზადება/გადამზადებისა და შემდგომი დასაქმების მიზნით სსიპ-კოლეჯი ,,მერმისი“ 2017 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ განხორციელების მიზანს წარმოადგენს თბილისში უმუშევრობის დონის შემცირება, პროფესიული სწავლებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში 2021 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 9 მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამაზე სწავლობდა **190 მსმენელი, სტატუსი შეუწყდა 1 მსმენელს, სწავლა დაასრულა 189 მსმენელმა, სერტიფიკატი მიიღო 160 მსმენელმა.**

2021 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,პანდემიით დაზარალებული მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობა“ ფარგლებში **10 პროგრამაზე 13 ჯგუფში სწავლა დაიწყო 185 მსმენელმა.**

პროექტი ითვალიწინებს Covid-19 პანდემიის პირობებში დაზარალებული, თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეების (რომლებმაც ქვეყანაში შექმნილი პანდემიის გამო, დაკარგეს სამსახური ან/და შემოსავლის წყარო) პროფესიული უნარების განვითარების გზით, სოციალური ინტეგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სწავლა დაასრულა 9 პროგრამის 14 ჯგუფის 184 მსმენელმა, სერტიფიკატი მიიღო 163 მსმენელმა.

კალენდარული წლის ბოლოს, კვლავ გაგრძელდა წარმატებული პროექტი კოლეჯსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის შორის.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 5 მოკლევადიანი პროგრამის 8 ჯგუფში ჩაირიცხა 85 მსმენელი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯში კონტიგენტის მოძრაობა

N	დასახელება	სწავლობდა	სტატუსი შეუწყდა	სტატუსი შეიჩერა	სწავლა დაასრულა	ამჟამად სწავლობს
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	1011	177	23	310	501
2	პროფ. მომზადების/გადამზადების პროგრამა	173	2		164	7
3	პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამა	10				10

	(ჯანდაცვის პროექტი)					
4	მერიის პროექტი	460	2		373	85
	ჯამი	**1654**	**181**	**23**	**847**	**603**

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების მეშვეობით. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარების აქტივობებში ჩართვით, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

კოლეჯში 2021 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო **119 პროფესიული განათლების მასწავლებლი.**

კოლეჯის ადმინისტრაციამ და პროფესიულმა მასწავლებლებმა გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

- ✓ კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და ინოვაციური ტექნოლოგიების სერვისების განვითარება - 8 მასწავლებელი;
- ✓ ონლაინ საკონფერენციო საშუალებების გამოყენება - 10 მასწავლებელი;
- ✓ მეილსერვისები და მათთან გათანაბრებული ხელსაწყოები - 10 მასწავლებელი;
- ✓ კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში (PSD TVET SC) პროგრამის დახმარებით, რომელიც ხორციელდება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შესაბამისი პასუხისმგებელი სამინისტროებისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით მიერ ორგანიზებული ტრენინგების ციკლი: ,,ონლაინ საკონფერენციო საშუალებების გამოყენება'', ,,სამიზნე ჯგუფზე ორიენტირებული ციფრული მარკეტინგული კამპანია'' – 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 3 ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ✓ ბრიტანელი პარტნიორი Plymouth College of Art-მიერ ორგანიზებული ტრენინგი - ბრიტანეთის საბჭოს "Crafting future" პროგრამის ფარგლებში შექმნილი მოდულის „შემოქმედებითი აზროვნება" პილოტირება - 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (TPDC) მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „პროფესიული სტუდენტის

შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში" – 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი;

- ✓ კოალიცია ,,პარტნიორობა მწვანე ეკონომიკის ხელშესაწყობად“ (PAGE) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა EU4Environment მიერ ორგანიზებული ტრენინგი - მწვანე ეკონომიკის ელექტრონული კურსი - 3 ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ✓ ევროკავშირი საქართველოსათვის და კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებული ტრენინგი - დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა კრიტიკული აზროვნების განვითარება სკოლებში - 5 პროფესიული მასწავლებელი;
- ✓ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) პროექტი, კიბერმდგრადობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის ტექნოლოგიების სერვისების განვითარება კოლეჯებში ახალი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად - 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ✓ კომუნიკაციების კომისია, ევროკავშირის მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით - დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა - კრიტიკული აზროვნების განვითარება სკოლებში - 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- ✓ გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ტრენინგი - უსაფრთხოების ნორმების დაცვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში - 2 ადმინისტრაციის წარმომადგენელი, 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- ✓ DVV International - ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორების გადამზადების მიზნით - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

სტუდენტური სერვისები

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“ მუმდივად იცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ზრუნავს მათი საჭიროებების გამოვლენაზე, სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე, უქმნის მათ უსაფრთხო სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფს მათ სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

პირველად პროფესიული სტუდენტები საქართველოს მთავრობის "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" დადგენილებით, კოლეჯის პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ დაზღვევის სპეციალური პირობებით, ისევე როგორც უმაღლესი განათლების სფეროს სტუდენტები.

სსიპ კოლეჯში "მერმისი" პროფესიული მოტივაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა შიდა კონკურსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

"კულინარიის ხელოვნების" სტუდენტებს შორის. ჟიურის ერთ-ერთ წევრად მოწვეული იყო ,,შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი" შეფ დეპარდიე. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა მადლობის სიგელი, ხოლო გამარჯვებულ გუნდს სერტიფიკატი.

2021 წლის კოლეჯს "მერმისი" და კავკასიის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთათანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია ურთიერთთანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში, ასევე ერთობლივი ძალისხმევითა და მხარდაჭერით ხელი შეუწყონ სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

2021 წლის 21 ოქტომბერს სსიპ-კოლეჯს ,,მერმისი“ და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად,

იურიდიული დახმარების სამსახური კოლეჯის სტუდენტებს გააცნობს თავიანთ უფლებებსა და ამ უფლებების პრაქტიკაში რეალიზების საშუალებებს, როგორც დისტანციურად, ასევე უშუალო შეხვედრების გზით.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა დარიკო თორდიამ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარა სემინარი თემაზე ,,ნარკოდანაშაული". მან ისაუბრა საკითხის სამართლებრივ და პრაქტიკულ ასპექტებზე. სტუდენტების მხრიდან დაისვა არაერთი საინტერესო შეკითხვა. აუდიტორიას ასევე მიეწოდა ამომწურავი ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისების შესახებ.

,,მერმისში“ რამდენიმე წელია მიმდინარეობს დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა, რომლის ფარგლებში სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო კოლეჯის დევნილ ან/და ეკომიგრანტ კურსდამთავრებულებს უფინანსებს სახელობო იარაღების შეძენას საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის წამოსაწყებად. აღნიშნული პროგრამით კოლეჯის 50-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა უკვე ისარგებლა.

2021 წლის 12 ოქტომბერს გაიმართა მორიგი საინფორმაციო შეხვედრა სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლებსა და კოლეჯის კურსდამთავრებულებს შორის.

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნების“ სტუდენტებისთვის საქართველოს განსტრონომიის ასოციაციის ხელშეწყობით ჩაატარა მასტერკლასი ეროვნული კონკურსის „ბოკუს დორ ჯორჯიას“ გამარჯვებულმა, რესტორან „ქეთო და კოტეს“ მთავარმა შეფმა ერიკ სარქისიანმა. მასტერკლასში მონაწილეობა მიიღო რესტორან „ქეთო და კოტეს“ სუ შეფმა იმედა ჭინჭარაულმა.

კოლეჯში ,,მერმისი“ ასევე ყველა პირობაა შექმნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის საჭიროებებზე.

2021 წლის 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო და

ინტერაქციული შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით და ერთმანეთს გაუზიარეს სურვილები და მოლოდინები უკეთესი ცხოვრებისთვის.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექცია მუდმივად ზრუნავს კოლეჯის სასწავლო სახელოსნოების განახლებაზე. 2021 წლის განმავლობაში კოლეჯი საჭიროების მიხედვით ახდენდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებას.

საანგარიშო პერიოდში ,,სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზით კოლეჯის მიერ დამატებით შეძენილი იქნა შესაბამისი აღჭურვილობა (სალაროს აპარატი, რაციები, რკინის ორკარიანი კარადები, მრგვალი მაგიდები), ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,მომინაქრებისათვის“ - ბორმაქნანები, „კულინარიის ხელოვნების“ სასწავლო სახელოსნოსთვის შეძენილი იქნა ახალი მაცივარი, ელექტრო ქურებისთვის შეძენილი და დამონტაჟებული იქნა ახალი მომფორები, „კონდიტერიისთვის“ შეძენილი იქნა ახალი პლანეტარული მიქსერი, „თმის მომსახურება“-სთვის შეძენილი იქნა ახალი თმის საშრობი ფენები,

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში დამონტაჟდა გამწოვი ვენტილატორები.

კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება/განახლების ფარგლებში, გაკეთებულია მსუბუქი ავტომობილის შეკეთების სახელოსნოს და საწყობის მიშენების პროექტი და დაწყებულია მშენებლობა.

კერძო სექტორთან თანამშრომლობა

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რაც გულისხმობს შეხვედრების ორგანიზებას, გამოცდილების გაზიარებას, მათ ჩართულობას კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების, პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობას, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას.

2021 წლის მანძილზე კოლეჯისთვის განსაკუთრებით აქტუალური იყო პარტნიორობა კერძო სექტორთან. მსოფლიოში არსებული დასაქმების პრობლემის კვალდაკვალ, კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა კოლეჯის კურსდამთავრებულებს აძლევს რეალურ შანსს შეძლონ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლა და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დასაქმდნენ საკუთარი პროფესიით.

2021 წელსაც კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა რგოლთან, მუნიციპალურ და საქალაქო სამსახურებთან, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად შესაძლებელი გახდა მეტი პოტენციური სტუდენტის ინფორმირება და მათი დაინტერესება კოლეჯის პროგრამებით.

ბოლო პერიოდში კომპანიებთან ურთიერთანამშრომლობა ძირითადად დამსაქმებლების ინიციატივით ყალიბდება. რასაც ადასტურებს ის, რომ საანგარიშო პერიოდში ურთიერთთანამშრომლობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით კოლეჯს 120-ზე მეტმა კომპანიამ მიმართა.

2021 წლის 15 ივნისს სსიპ კოლეჯის "მერმისი" პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შემდგომი დასაქმებისა და კარიერული წინსვლის მიზნით შეხვდა აჭარა ჯგუფის ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტისა და განყოფილების დირექტორი ეკა ფუტკარაძე. შეხვედრაზე ისაუბრეს კომპანიაში არსებულ ვაკანსიებზე და დასაქმების პერსპექტივებზე.



2021 წლის 22 ივნისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა შპს „აგროჰაბის“ წარმომადგენლებთან კომპანიაში არსებულ ვაკანსიებზე და კოლეჯის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებზე.

2021 წლის 24 ივნისს სამუშაო შეხვედრა გამართა შპს "თეგეტა მოტორსის" სერვისების მართვის დეპარტამენტის უფროსთან ირაკლი ბერიძესთან და ტალანტების შერჩევისა და მართვის მენეჯერთან თეონა იობაიასთან.

შეხვედრაზე ისაუბრეს კომპანიაში არსებულ ვაკანსიებზე და კოლეჯის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებზე. ასევე განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის გზები.

2021 წლის 27 ოქტომბერს სამუშაო შეხვედრა გამართა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს საქალაქო ცენტრის უფროსთან ნიკა ინაურთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სააგენტოს წარმომადგენლები და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოების“ სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

შეხვედრის მიზანი იყო კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთვრებულებისათვის ინფორმაციის მიწოდება თბილისის მასშტაბით სამკერვალო კომპანიებში არსებული ვაკანსიების შესახებ, ასევე სამომავლო ურთიერთთანაშრომლობაზე.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა კომპანიასთან: შპს „პროცესორი“, შპს „აივნიანი ქალაქი“, შპს „გეოფუდი“, შპს ,,ციტადელი“, შპს „ჯი ემ თი სასტუმროები, მოქმედი როგორც სასტუმრო მოქსი, თბილისი მარიოტი და ქორთიარდ მარიოტი, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“ (შერატონი თბილისი), შპს „პრემიერა ტმ“, შპს „სქაი ჰაი“, შპს „აგროჰაბი“, შპს „ჯი თი გრუპი“, შპს „ეი ჯი მოტორსი“, შპს „ჯი თი მოტორსი“, შპს „აჭარა ჯგუფი“ და სხვა.

2021 წლის სამოქმედო გეგმის შეუსრულებელი აქტივობების ანალიზი

2021 წელს ნაწილობრივ შესრულდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება - ვერ დასრულდა სავალი ნაწილის და ძრავის შეკეთების სახელოსნოებისა და საწყობის მიმდინარე მშენებლობა, შესაბამისად ვერ იქნა შეძენილი აღჭურვილობა.

ვერ განხორციელდა სარაჯიშვილის ქუჩა №108-ში არსებული ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვა.

ვინაიდან კოლეჯის ქ. თბილისში, გურამიშვილის ჩიხი №9ა-ში მდებარე ფართში ახალი პროგრამების დამატებისა და დანერგვის შესაძლებლობები აღარ აქვს ფართის სიმცირის გამო, კოლეჯის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №108-ში მდებარე ფართზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის შემთხვევაში დაწესებულებას მიეცემა 8 ახალი პროგრამის დამატების/დანერგვის შესაძლებლობა. ესენია:

- ელექტროობა, მეოთხე დონე, 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული, 40 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი
- ბაღის დიზაინი, მეოთხე დონე, 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული, 20 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი
- მეტალო პლასტმასის, ალუმინისა და ხის კარ-ფანჯრების დამზადება-მონტაჟი, მესამე დონე - 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული , 20 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციის მემონტაჟე, მესამე დონე, 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული, 20 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი
- რძის პროდუქტების წარმოება, მეოთხე დონე, 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული, 20 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი
- პურ-პროდუქტების წარმოება, მეოთხე დონე - 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული, 20 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი
- საექთნო საქმე, მეხუთე დონე, 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული, 40 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი

- სასაწყობე მეურნეობის ლოგისტიკა - 40 დიპლომირებული კურსდამთავრებული, 20 მოკლევადიანი მომზადების პროგრამის მსმენელი

ასევე ისეთი მოთხოვნადი პროფესიები, როგორიცაა სამკერვალო წარმოება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, სარესტორნო საქმე, სასტუმრო საქმე, დურგალი, მიუხედავად შრომის ბაზრის მხრიდან არის დიდი მოთხოვნა ამ სპეციალობების კურსდამთავრებულებზე, კოლეჯი ვერ აწოდებს საჭირო რაოდენობას შესაბამისი ფართის სიმცირის გამო.

სარაჯიშვილის ქუჩა №108-ში რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შემდეგ კოლეჯს შესაძლებლობა ექნება 520 სტუდენტის მიღება აღნიშნულ ლოკაციაზე.

ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

- ჩატარდა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ მეცადინეობებზე დასწრება როგორც ადგილზე, კოლეჯში პირისპირ სწავლების რეჟიმში, ასევე მასწავლებლების მიერ ონლაინ რეჟიმში, მაიქროსოფთ თიმსის ელ. პლატფორმის გამოყენებით ჩატარებული მეცადინეობების ჩანაწერების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;
- ჩატარდა სტუდენტთა შეფასების შიდა ვერიფიკაციის სამუშაოები;
- ჩატარდა საკონსულტაციო სამუშაოები კოლეჯის ახალ მასწავლებლებთან;
- განხორციელდა მასწავლებლების მიერ ჩატარებული მეცადინეობების თემატიკის შესაბამისობის მონიტორინგი მოდულების კალენდარული გეგმების თემატიკასთან;
- პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- ჩატარდა შიდა ტრენინგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიულ მასწავლებლებთან მოდულური პროგრამების თავისებურებების შესახებ.

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

2021 წლის 17 დეკემბერს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სტუმრად იმყოფებოდნენ კორპორაციის „PEM CONSULT“ აღმასრულებელი დირექტორი მარიტა მუნსკი, პროექტების მენეჯერი ლუკას სიტსენი, გრანტების მენეჯერი საქართველოს ფილიალში, ტვეტის ექსპერტი ვალენტინ მიტევი და არქიტექტორი ჯენს ვინკლერი.

კოლეჯის დირექტორთან ნონა ღუდუშაურთან შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე.

სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნენ სასწავლო პროცესს.

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის ნონა ღუდუშაურის ინიციატივით კოლეჯის პროფესიული სტუდენტები შეუერთდნენ ჭრელი წინდების კამპანიას #წინდამინდა, რომელიც ყოველწლიურად იმართება დაუნის სინდრომის მსოფლიო საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

პროფესიული განათლების 2021 წლის ეროვნული ჯილდოს კონკურსის გამოცხადდების ღონისძიებას კოლეჯში „მერმისი“ დაესწრნენ ათასწლეულის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მაღრაძე, ისრაელის ელჩი საქართველოში რან გიდორი, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის გენერალური

დირექტორი ზურაბ კერვალიშვილი, საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ამილახვარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

2021 წლის 19 აპრილს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავჯდომარე ნატალია კვაჭანტირაძე, ასოციაციის წარმომადგენელი ნინა კეკელიძე და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის წარმომადგენელი დარიკო გოგოლი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ახალი კორონავირუსით (Covid 19) შექმნილი პანდემიის გამო დუალური პროფესიული განათლების კუთხით არსებული ვითარება და სამომავლო თანამშრომლობის გზები.

2021 წლის 21 აპრილს სსიპ კოლეჯის "მერმისი" დირექტორი ნონა ღუდუშაური შეხვდა საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის წარმომადგენელს გურამ ნაცვალაძეს.
სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს კოლეჯის მიერ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროს ფარგლებში განხორციელებულ პროგრამებზე და დასახეს სამომავლო ანამშრომლობის გზები.

სსიპ კოლეჯმა „მერმისი" მონაწილეობა მიიღო განათლების მე-11 საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც ონლაინ რეჟიმში წარიმართა 2021 წლის 27-28 მაისს.

პროფესიული განათლების მიღების მსურველ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ.

2021 წლის 14 ივნისს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, სსიპ კოლეჯში "მერმისი" მოწვეულნი იყვნენ ასოციაცია „ანიკას" ბენეფიციარები.

ბენეფიციარებმა დაათვალიერეს კოლეჯი და გაეცნენ პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამებს. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება" სტუდენტებმა სტუმრებს გაუკეთეს სადღესასწაულო ვარცხნილობები და კოლეჯის დირექტორისგან მიიღეს სიმბოლური საჩუქრები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2021 წლის 23 ივნისს კოლეჯში „მერმისი" იმყოფებოდნენ საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტი, ქართული ჟესტური ენის სპეციალისტი - ამირან ბატატუნაშვილი და საგანმანათლებლო გარემოში თარგმნის გამოცდილების მქონე ქართული ჟესტური ენის თარჯიმანი თამარ ჯიქიძე.

ექსპერტები დაესწრენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ლექციებს, სადაც ირიცხება სმენის პრობლემის მქონე სტუდენტი.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით, 2021 წლის 30 ივნისს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სამუშაო შეხვედრა გამართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა. შეხვედრა ეძღვნებოდა დუალურ პროფესიულ განათლებას საქართველოში, არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თამარ ქიტიაშვილმა, გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა და კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოში არსებული იმ სახელმწიფო კოლეჯების

წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა დუალურ პროგრამებს, ასევე კოლეჯის „მერმისი“ პედაგოგები და სტუდენტები.

ღონისძიების ფარგლებში გერმანიის ელჩმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ პანელ დისკუსია გამართეს ასევე კოლეჯის „მერმისი“ პროფესიულ სტუდენტებთან, ისაუბრებს პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმებსა და გამოწვევებზე.